თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 21

ქ.თერჯოლა

19 დეკემბერი 2022 წელი

აკ. ჭანტურიძის ქ. №7

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ზარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:** 1. გიორგი ზარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ზიზინა ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. შალვა ჭანკვეტაძე, 9. გოჩა ვეროულაშვილი, 10. კახა ბუცხრიკიძე

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ტარიელ ფანჩულიძე

**საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი**
**დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10**
**კვორუმი: 7 წევრი**

**დღის წესრიგი:**

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტის, 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის, 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282234322 წერილი, 09/12/2022);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235313, 19.12.2022 წ.);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა. ყურადმყოფელი

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282234824 წერილი, 14/12/2022 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

6. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ"განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-2822350105 წერილი, 16/12/2022 წ);

/მომხს. ჯ.ისაკაძე/

7. 2022 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282235094 წერილი, 16/12/2022 წ).

/მომხს. ჯ.ისაკაძე/

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქარიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტს, 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის, 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი ( განმარტებითი ბარათი თან ახლავს).

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 1

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტის, 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის, 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის №28-282234322 წერილი, 09/12/2022).

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქარიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ფაქტიურმა შემოსავლებმა და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა შემცირდა 399.5 ათასი ლარით და შეადგენს 29938.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 399.5 ათასი ლარით (გრანტი შემცირდა 167.4 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები შემცირდა 82.1 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივები შემცირდა 150.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 483.9 ათასი ლარით, მათ შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 90.6 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა შემცირდა 1.3 ათასი ლარით.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 22.5 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია შემცირდა 70.0 ათასი ლარით.

გარე განათების დაფინანსება შემცირდა 11.4 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 25.0 ათასი ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შემცირდა 65.0 ათასი ლარით.

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსება შემცირდა 167.4 ათასი ლარით (ტრანსპორტის ხარჯი).

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა16.4 ათასი ლარით.

მუზეუმების დაფინანსება შემცირდა 6.0 ათასი ლარით.

ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 8.3 ათასი ლარით.

**ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 84.5 ათასი ლარით. მ/შორის:**

გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია გაიზარდა 0.7 ათასი ლარით.

კულტურის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 7.0 ათასი ლარით.

ხელოვნების სკოლის დაფინანსება გაიზარდა 3.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 73.8 ათასი ლარით (შშმის ღირებულება).

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 1

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №. 28-282235313, 19.12.2022 წ.);

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დაფინანსებით მომდევნო წლის 01 იანვრიდან ხორციელდება საჯარო დაწესებულებებში თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეების სახელფასო განაკვეთების 10%-იანი ზრდა, თანამდებობრივი სარგო ათასასი ლარიდან გაიზარდა ათასორას ლარამდე და მიესადაგა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამის № 4.2 და № 2 დანართებს.

აქედან გამომდინარე „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვარი №14 დადგენილებაში ცვლილების მიზანია, მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში იყოს შრომის ანაზღაურების სისტემის ძირითადი პრინციპებთან.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი დაფინანსება განსაზღვრულია 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282234824 წერილი, 14/12/2022 წ).

4.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ზეცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ცვლილება ანალოგიურია მერიის საშტატოსი.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბეცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრა 744 ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ"განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემული 1 უძრავი ქონება ( ს.კ. 33.04.37.623, სოფ. ნახშირღელე, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 48.000 კვ.მ.) რომლის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 2600 ლარით (უპირობო ელექტრონული აუქციონი).

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ"განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N 28-2822350105 წერილი, 16/12/2022 წ).

7.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო 2022 წლის თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტა:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი 2022 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N 28-282235094 წერილი, 16/12/2022 წ).

*თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2022 წლის 19 დეკემბრის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"

ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10.0% პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2023-2025 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და თერჯოლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მმართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

## ბიუჯეტის პარამეტრები

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და $6^1$-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 16500.0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3000.0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდით;

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საშემოსავლო ნაწილის მაჩვენებლის, მიხედვით რეალური შემოსავალი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით - 407,09 ლარს მიაღწევს. ხოლო, რეალური შემოსავალი ერთ სულზე საშუალოდ თვეში - 33,92 ლარი იქნება.

2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 16500.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები 14942.0 ათასი ლარით, გრანტები - 360.0 ათასი ლარის ოდენობით, არასაგადასახადო შემოსავლები 898.0ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საგადასახადო შემოსავლები.

მთლიან შემოსავლებში (16500.0 ათასი ლარი) უშუალოდ, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 90,5%-ს, ანუ 14942.0 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: ქონების გადასახადი 2300.0 ათასი ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა ქონება - 1880.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება - 20.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -70.0 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 330.0 ათასი ლარი), დამატებული ღირებულების გადასახადი - 12642.0 ათასი ლარი;

- გრანტები.

თეთრწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (16500.0 ათასი ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების (ტრანსფერების) ხვედრითი წილი 2,2 %-ს, ანუ 360.0 ათას ლარს შეადგენს (მიზნობრივი ტრანსფერი – 360.0 ათას ლარი), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული.

- სხვა შემოსავლები.

მომავალი საბიუჯეტო წლის პროექტში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე სხვა შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია - 898.0 ათასი ლარით, მისი ხვედრითი წილია 5,5%. მათ შორის: პროცენტები განსაზღვრულია - 150.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 368.0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან დაგეგმილია 20,0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 15.0 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 130.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან - 15.0 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 170.0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 30.0 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივები.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია -200.0 ათასი ლარით, რომლის ხვედრითი წილია 1.8%. აქედან ძირითადი აქტივები -100.0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივები - 200.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო (დაგეგმო) მაჩვენებლებში საერთოდ არ არის შეტანილი: საერთო– სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის და სხვა. რადგან, ამ სახის მოსაკრებლებიდან წინა საბიუჯეტო წლებში ფაქტიური შემოსავლები არ დაფიქსირებულა.

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

თეთრწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის საგასავლო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად - 16500.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 3000.0 ათასი ლარით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1300.0 ათასი ლარი; მათ შორის:

- გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაგეგმილია - 260.0 ათასი ლარით. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 260.0 ათასი ლარით.

- წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია დაფინანსდება -270.0 ათასი ლარით. აქედან რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე განსაზღვრულია -50.0 ათასი ლარი.

- გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯი დაფინანსდება -450.0 ათასი ლარით.
- კომუნალური მეურნეობის განვითარების ხარჯები დაფინანსდება -110.0 ათასი ლარით.
- სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარი.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება -200.0 ათასი ლარით.

- დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2500,0 ათასი ლარი; მათ შორის:

დასუფთავება და კეთილმოწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური") 2023 წლის ასიგნება -2500.0 ათასი ლარით განისაზღვრება;

- განათლება - 4346.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა (ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს) დაფინანსება განსაზღვრულია -136.0 ათასი ლარით.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება განისაზღვრა -3900.0 ათასი ლარით.
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა დაფინანსდება -5.0 თასი ლარით.
- საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება- 5.0 ათასი ლარით.
- სკოლისგარეშე განათლება (ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი"-ს) დაფინანსდება -300.0 ათასი ლარით.

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1985.0 ათასი ლარი. მათ შორის:
- სპორტული ღონისძიებები დაფინანსება -20.0 ათასი ლარით.
- სპორტული სკოლა (ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი") დაფინანსდება -650.0 ათასი ლარით.
- სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი") დაფინანსდება -230.0 ათასი ლარით
- სახელოვნებო სკოლები -265.0 ათასი ლარით.
- ბიბლიოთეკები დაფინანსდება -170.0 ათასი ლარით.
- კულტურის სახლების დაფინანსება განსაზღვრულია -420.0 ათასი ლარით.
- მუზეუმების დაფინანსება განსაზღვრულია -75.0 ათასი ლარით.
- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსდება - 30.0 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა -65.0 ათასი ლარით განისაზღვრა.
- საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება -60.0 ათასი ლარით.

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1460.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი") დაფინანსდება -155.0 ათასი ლარი.
- ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (სოფლის ამბულატორიები) დაფინანსდება -5.0 ათასი ლარით.
- სოციალური დაცვა დაფინანსდება -1300.0 ათასი ლარით, რომელის მოიცავს შემდეგ სოციალურ პროგრამებს: 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარება. 3. ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი თანხებით.4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება.5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება.6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშეზღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება. 7. თერჯოლის ინვალიდთა ასოციაციის დახმარება (მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისათვის სხვადასხა ღონისძიებები). 8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარება. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამას. 9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას.10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარება.11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება.12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო მომსახურეობა. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თითოეულ გარდაცვლილ ომის ვეტერანზე 250 ლარის ოდენობით.13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის ერთჯერადი თანადაფინანსება. აღნიშნულით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება.14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება.15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება. 16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა.17. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა.

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2023 წელში განსაზღვრულია -4909.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 977.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 3576.0 ათასი ლარი;
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 185.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 50.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;

- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 50.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 20.0 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი.

➢ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|
| - | თერჯოლის მუნიციპალიტეტი | 16500,0 |
| 01 01 01 | თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 977,0 |
| 01 01 02 | თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია | 3576,0 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 185,0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 50,0 |
| 01 02 02 | წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 1,0 |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 50,0 |
| 01 02 04 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 20,0 |
| 01 02 05 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 10.0 |
| 02 01 | გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი | 260,0 |
| 02 02 | წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 270,0 |
| 02 03 | გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია | 450,0 |
| 02 04 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 110,0 |
| 02 05 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 10,0 |
| 02 06 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 200,0 |
| 03 01 | დასუფთავება და კეთილმოწყობა | 2500,0 |
| 04 01 01 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა | 136,0 |
| 04 01 02 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები | 3900,0 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 5,0 |
| 04 03 | საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება | 5,0 |
| 04 04 | სკოლისგარეშე განათლება | 300,0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 20,0 |
| 05 01 02 | სპორტული სკოლა | 650,0 |
| 05 02 01 | სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 230,0 |
| 05 02 02 | სახელოვნებო სკოლები | 265,0 |
| 05 02 03 | ბიბლიოთეკები | 170,0 |
| 05 02 04 | კულტურის სახლები | 420,0 |
| 05 02 05 | მუზეუმები | 75,0 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 30,0 |

| | | |
|---|---|---|
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 65,0 |
| 05 05 | საგამომცემლო საქმიანობა | 60,0 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 155,0 |
| 06 01 02 | ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია | 5,0 |
| 06 02 01 | სოციალური დაცვა | 1300,0 |

➢ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2724.0 ათასი ლარი;*
- *თავდაცვა - 185.0 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 260,0 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 2500,0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1040,0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 155,0 ათასი ლარი;*
- *დასვენება , კულტურა და რელიგია - 1985.0 ათასი ლარი;*
- *განათლება - 4346.0 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 1300,0 ათასი ლარი;*

➢ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები საბიუჯეტო კლასიფიკაციის ჭრილში:

- *შრომის ანაზღაურება - 3521.7 ათასი ლარი;*
- *საქონელი და მომსახურება - 1803.0 ათასი ლარი;*
- *პროცენტი -32.0 ათასი ლარი;*
- *სუბსიდიები - 8941.0 ათასი ლარი;*
- *გრანტი - 20.0 ათასი ლარი;*
- *სოციალური უზრუნველყოფა - 925.0 ათასი ლარი;*
- *სხვა ხარჯი - 564.3 ათასი ლარი;*
- *არაფინანსური აქტივები - 635.0 ათასი ლარი;*
- *ვალდებულებები - 58.0 ათასი ლარი;*

2022 წლის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს – 635.0 ათას ლარს, მათ შორის:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რგფ პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება - 260.0 ათასი ლარით.
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდება 50.0 ათასი ლარით რგფ პროექტების თანადაფინანსება.
- გარე განათების ქსელზე მიერთება დაფინანსდება -20.0 ათასი ლარი.
- კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსდება -60.0 ათასი ლარით. რგფ პროექტების თანადაფინანსება.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება -200.0 ათასი ლარით.
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის თანადაფინანსება დაფინანსდება -5.0 ათასი ლარით.
- ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (სოფლის ამბულატორიები)დაფინანსდება -5.0 ათასი ლარით.

- მუნიციპალიტეტის მერია დაფინანსდება - 35.0 ათასი ლარი (კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 20.0 ათასი ლარი; პრინტერები 15.0 ათასი ლარი).

- 2022 წლის ბიუჯეტში „კაპიტალური ბიუჯეტი" გათვალისწინებული არ არის, რადგან დაგეგმილ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდაზე განსაღვრული თანხა დაიხარჯება მცირე სარემონტო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების თანადაფინანსებასა და ზედამხედველობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი;
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2023-2026 წლები;
3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დანართი. ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. ა(ა)იპ-ების ბიუჯეტის ნაერთი ბალანსი.
5. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი